

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრის ბრძანება №205/2

2006 წლის 5 დეკემბერი ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ზემო აფხაზეთის სასწრაფო სამედიცინო
დახმარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოსა და აფხაზეთის კანონების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ზემო აფხაზეთის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის შექმნის შესახებ“ აფხაზეთის მთავრობის 2006 წლის 24 ნოემბრის №39 დადგენილების მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის მთავრობის 2006 წლის 01 თებერვლის №8 დადგენილებით დამტკიცებული „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ზემო აფხაზეთის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის“ დებულება.

2. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

დ. ხორავა

რეგისტრირებულია აფხაზეთის იუსტიციის დეპარტამენტში

რეგისტრაციის კოდი 47003000033041000056

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ზემო აფხაზეთის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ზემო აფხაზეთის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური“ (შემდგომში – „სამსახური“) არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში – „სამინისტრო“) სისტემაში შემავალი ერთეული, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს (შემდგომში – „მინისტრი“);

2. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოსა და აფხაზეთის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრების ბრძანებებით, სამინისტროს დებულებითა და წინამდებარე დებულებით;

3. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ზემო აფხაზეთის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის“ იურიდიული მისამართია ზემო აფხაზეთი, სოფელი აჟარა.

მუხლი 2. სამსახურის მიზანი და ძირითადი მიმართულებანი

სამსახურის მიზანი და ძირითადი მიმართულებებია:

1. უზრუნველყოს ზემო აფხაზეთის მოსახლეობის ხარისხიანი სასწრაფო სამედიცინო დახმარების განხორციელება;

2. სრულყოს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მეთოდები და პირობები საქართველოში გამოყენებისთვის ნებადართული სამკურნალო წამლების საშუალებების ფარგლებში;

3. გაუწიოს თავის მუშაკებს კანონმდებლობით დაწესებული ყველა შეღავათი;

4. უზრუნველყოს თავისი მუშაკების სოციალური დაცვა მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში;

5. გაწეული საქმიანობის შესახებ დადგენილ პერიოდში წარუდგინოს ანგარიში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს;

მუხლი 3. სამსახურის ხელმძღვანელობა

1. სამსახურს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ანთავისუფლებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი;

2. სამსახურის დირექტორი:

ა) ხელმძღვანელობს და კონტროლს უწევს სამსახურის საქმიანობას;

ბ) დებს ხელშეკრულებებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;

გ) სამუშაოდ იღებს და ანთავისუფლებს მუშაკებს, წყვეტს შრომის ანაზღაურებისა და შვებულებაში გასვლის განრიგს, ასევე მათი დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხებს;

დ) ზემდგომ ორგანოებთან შეთანხმებით ამტკიცებს სამსახურის მართვის სტრუქტურას, საშტატო განრიგს, წლიურ ხარჯთაღრიცხვას – საფინანსო გეგმას;

ე) ახალი სამეურნეო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს სამი თვისა ადგენს და ზემდგომ ორგანოებს წარუდგინოს გასული წლის ბალანსს და მისი საქმიანობის ამსახველი ანგარიშებს.

ვ) ახორციელებს ორგანიზებას შრომისა და უსაფრთხოების წესების, ასევე ტექნიკის სანიტარიისა და ჰიგიენის ღონისძიებების დაცვას;

ზ) ახორციელებს სხვა საქართველოსა და აფხაზეთის კანონმდებლობით ნებადართულ საქმიანობას.

3. დირექტორი პასუხისმგებელია მისთვის საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებაზე;

4. დირექტორის ადგილზე არ ყოფნისას მის მოვალეობას ასრულებს მის მიერ დანიშნული პირი;

მუხლი 4. სამსახურის ქონება, დაფინანსება და საქმიანობა

1. სამსახურის ქონებას წარმოადგენს მისი საქმიანობისათვის აუცილებელი ინვენტარი, დანადგარ მოწყობილობები, სატრანსპორტო საშუალება და სხვა ქონება, რომელიც მას გადაეცემა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

2. დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებები და სხვა კანონმდებლობით გათვალისწინებული სახსრები.

3. სამსახურს თავისი საქმიანობის განხორციელებისას მაკონტროლებელი ორგანოს თანხმობა სჭირდება:

ა. უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვისას;

ბ. სესხის აღებისას;

გ. საშტატო განრიგისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრისას;

დ. თავდებობისას;

ე. სხვა გადაწყვეტილებებისას საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონებასთან დაკავშირებით, თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს

მუხლი 5. სამსახურის წლიური ბალანსი

1. სამსახურის სამეურნეო-საფინანსო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს;

2. სამსახური წლის ბოლოს ადგენს წლიურ ბალანსს, აწარმოებს საბუღალტრო და სტატისტიკურ აღრიცხვას და დადგენილ ვადებში წარუდგენს შესაბამის ორგანოებს;

მუხლი 6. სამსახურის ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია

სამსახურის, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. დებულებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის წესი

სამსახურის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით.